მაია ბლიაძე • დავით კერესელიძე •
მანანა სეხნიაშვილი

8 გეოგრაფია

მოსწავლის რვეული

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს.

**თემატური
კონტურული
რუკები და
სავარჯიშოები**

სულაკაურის
გამომცემლობა

სახელი _____

გვარი _____

ქალაქი/სოფელი _____

სკოლა _____

კლასი _____

მსოფლიოს ფიზიკური რუკა



დავალება

1. მსოფლიოს ფიზიკურ კონტურულ რუკაზე მონიშნე და დააწერე სახელწოდებები:

ა. კონტინენტებსა და ოკეანეებს;

ბ. გრინვიჩის მერიდიანს და თარიღთა ცვლის ხაზს;

გ. პანამისა და სუეცის არხებს;



2. წითელი ფერით მონიშნე სუპერკონტინენტის – გონდვანას შემადგენლობაში შემავალი კონტინენტები.

მსოფლიოს ფიზიკური რუკა



დავალება

მსოფლიოს ფიზიკურ კონტურულ რუკაზე შენ მიერ შექმნილი პირობითი ნიშნების გამოყენებით მონიშნე ქრ. კოლუმბის, ა. ვესპუჩის, ფ. პისაროს, ფ. დე ორელიანის, ალ. ჰუმბოლტის, ლ. ერიქსონისა და ალ. მაკენზის მოგზაურობის მარშრუტები.


0°
20°
40°
60°
80°
100°
120°
140°
160°
180°
80°
ჩრდ. პოლარული წრე
60°
40°
20°
0°
20°
40°
60°
80°
0°
20°
40°
60°
80°
100°
120°
140°
160°
180°

ნახევარსფეროების რუკა

დავალება

ნახევარსფეროების კონტურულ რუკაზე მონიშნე ლითოსფეროს ძირითადი ფილები და დააწერე სახელწოდებები.

აღმოსავლეთი ნახევარსფერო



მსოფლიოს პოლიტიკური რუკა



დავალება

მსოფლიოს კონტურულ პოლიტიკურ რუკაზე დააწერე სახელწოდებები: კონტინენტების უდიდეს ქვეყნებს ფართობისა და მოსახლეობის მიხედვით.


20° 40° 60° 80° 100° 120° 140° 160° 180°
80°
ჩრდ. პოლარული წრე
60°
40°
20°
0°
20°
40°
60°
სამხრ. პოლარული წრე
80°
20° 40° 60° 80° 100° 120° 140° 160° 180°

სამხრეთ ამერიკის ფიზიკური რუკა

დავალება

სამხრეთ ამერიკის კონტურულ რუკაზე მონიშნე და დააწერე სახელწოდებები:

ა. კონტინენტის უკიდურეს წერტილებს;

ბ. მოსაზღვრე ოკეანეებსა და ზღვებს;

გ. ყურეებს, სრუტეებსა და მიმდებარე კუნძულებს;

დ. ძირითად ვაკე-დაბლობებს, ზეგნებს, მთებს, მწვერვალებსა და ვულკანებს;

ე. ატაკამის უდაბნოს.

სამხრეთ ამერიკის ფიზიკური რუკა

დავალება

სამხრეთ ამერიკის ფიზიკურ კონტურულ რუკაზე:

ა. მონიშნე და დააწერე სახელწოდებები კონტინენტის მდინარეებს, ტბებსა და ჩანჩქერებს;

ბ. სხვადასხვა ფერით გამოყავი მდინარეთა აუზები;

გ. წითელი ფერის კონტურით შემოხაზე ამაზონის აუზი და დააწერე სახელწოდებები მდინარის ძირითად შენაკადებს.

სამხრეთ ამერიკის კლიმატური რუკა



დავალება

1. სამხრეთ ამერიკის კლიმატურ კონტურულ რუკაზე მონიშნე და დააწერე სახელწოდებები:
   ა. კლიმატურ სარტყლებს, რომლებშიც კონტინენტი მდებარეობს;
   ბ. კონტინენტის ნაპირებთან გამავალ ოკეანურ დინებებს.
2. დაადგინე, რას აღნიშნავს რუკაზე გამოსახული ისრები და რატომ აქვთ სხვადასხვა მიმართულება? გააფერადე ეს ისრები შესაბამისი ფერით.
3. მონიშნე რუკაზე ყველაზე უხვნალექიანი და უნალექო ტერიტორიები და გააფერადე სხვადასხვა ფერით.

სამხრეთ ამერიკის ბუნებრივი ზონების რუკა



დავალება

სამხრეთ ამერიკის ბუნებრივი ზონების კონტურულ რუკაზე:

ა. გაავლე ბუნებრივი ზონების საზღვრები, გააფერადე ზონები სხვადასხვა ფერით და შექმენი რუკის ლეგენდა.

ბ. თითოეულ ბუნებრივ ზონაში ჩახატე მისთვის დამახასიათებელი მცენარე ან ცხოველი.

გ. რუკაზე ამაზონის ჰილეასა და პამპას გავრცელების არეალები შემოხაზე წითელი ფერის კონტურით.

სამხრეთ ამერიკის პოლიტიკური რუკა

დავალება

სამხრეთ ამერიკის კონტურულ პოლიტიკურ რუკაზე:

ა. მონიშნე და დააწერე სახელწოდებები კონტინენტის ქვეყნებსა და მათ დედაქალაქებს;

ბ. შავად გააფერადე საფრანგეთისა და ბრიტანეთის დამოკიდებული ტერიტორიები; მწვანედ – ქვეყნები, რომელთაც არ აქვთ ზღვაზე გასასვლელი, დანარჩენი კი – წითლად.

გ. წითელი ფერის კონტურით გამოყავი ბრაზილია და მონიშნე ქვეყნის დიდი ქალაქები.

შემაჯამებელი დავალება

სამიზნე ცნებები

გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი; გეოგრაფიული გარსი; გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება.

საკითხი

ბრაზილიის ატლასი

დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ბრაზილიის კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობ. შენი ამოცანაა, ვებპორტალ National Geographic-ის პროგრამა https://mapmaker.nationalgeographic.org-ის გამოყენებით შექმნა ბრაზილიის თანამედროვე ხელნაკეთი ან ელექტრონული ინტერაქტიური ატლასი.

ატლასში ხაზგასმით წარმოაჩინე

- ბრაზილიის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურების გავლენა მის ბუნებრივ მრავალფეროვნებაზე;
- ბრაზილიის ბუნებრივი პირობების გავლენა მოსახლეობის განსახლების არეალებზე;
- ქვეყნის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გავლენა მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების დონეზე;
- ბრაზილიის ეკონომიკასა და ეკოლოგიურ პრობლემებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი;
- ბრაზილიის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):

I ეტაპი

კომპლექსური დავალების ფორმა

განსაზღვრე ატლასის შინაარსი: რომელი რუკები, სურათები, ფოტოები, დიაგრამები და ტექსტი დაგჭირდება ბრაზილიის ატლასისთვის.

II ეტაპი

მოაგროვე რესურსები და ინფორმაცია ბრაზილიის შესახებ.

- გაეცანი და გამოიყენე ინფორმაციის მოსაპოვებლად:

ა. სამხრეთ ამერიკის თემატური რუკები – ფიზიკური (გვ. 7, დანართი 3), კლიმატური სარტყლების (გვ. 25), ბუნებრივი ზონების (გვ. 34), პოლიტიკური (გვ. 48, დანართი) და სხვ. იხილე სახელმძღვანელოში; ასევე ვებგვერდზე:

https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Maps_of_Brazil

ბ. ფოტოები (მაგ.: ფაველა, სან-პაულუ და სხვ.) ან ნახატები (იხ. ნიმუშები);

გ. ბრაზილიის ხელნაკეთი ატლასის შესაქმნელად გამოიყენე ინტერნეტბმული: https://www.enchantedlearning.com/label/geography.shtml, სადაც ნახავ ბრაზილიის კონტურულ რუკებს;

დ. ელექტრონული რუკების შესაქმნელად დაგეხმარება ვებრესურს National Geographic-ის პროგრამა https://mapmaker.nationalgeographic.org

ე. თეთრი და ფერადი ფურცლები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

- უყურე ვიდეოფილმებს და ჩაინიშნე ინფორმაცია, რომელიც ატლასის მომზადებისას გამოგადგება:

  შთამბეჭდავი ბრაზილია

  https://www.youtube.com/watch?v=YfmmtT47Idg

- აირჩიე ნამუშევრის წარდგენის ერთ-ერთი ფორმატი.

1. იმისათვის, რომ დაამუშაო კრიტერიუმი – ბრაზილიის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურების გავლენა მის ბუნებრივ მრავალფეროვნებაზე, გაეცანი ტექსტს – „ტროპიკული გიგანტი“, გამოიყენე სახელმძღვანელოში მოცემული სამხრეთ ამერიკის ფიზიკური და პოლიტიკური რუკები და უპასუხე კითხვას:

- რა თავისებურებებით ხასიათდება ბრაზილიის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რა როლს თამაშობს ეს ფაქტორები მისი განვითარების პროცესში?

ტროპიკული გიგანტი

ბრაზილია (ოფიციალურად – ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა) დასავლეთ ნახევარსფეროში, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მდებარეობს.

„კონტინენტი კონტინენტში“ – ხშირად ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდ ქვეყანას – ბრაზილიას. ფართობით იგი მთელი კონტინენტის – სამხრეთ ამერიკის – ცამეტი ქვეყნიდან უდიდესია, მსოფლიოში კი ამ მაჩვენებლით მეხუთე ადგილს იკავებს. ქვეყანა მსოფლიოში ასევე მეხუთე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებლითაც.

ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი მსხვილი ბუნებრივი ოლქი: ამაზონის დაბლობი, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით ვრცელდება და ბრაზილიის მთიანეთი, რომელიც ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებს იკავებს და ტერიტორიის დაახლოებით 2/3-ს მოიცავს. ბრაზილიის უმაღლესი მწვერვალია პიკო-და-ნებლინა (ნისლიანი პიკი), რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 2 994 მ-ია.

ბრაზილია მდებარეობს ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყლებში. ასეთი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქვეყანა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებითა და ენდემური ჯიშების სიმრავლით გამოირჩევა, ამიტომაც მას უდიდეს „ბოტანიკურ ბაღს“ უწოდებენ.

ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი უკავია მსოფლიოს ყველაზე წყალუხვ მდინარეს – ამაზონს და ამაზონის დაბლობს გაუვალი და დღემდე გამოუკვლეველი ჯუნგლებით. ამაზონისპირეთს, რომელიც ქვეყნის 1/3 ნაწილს შეადგენს, „პლანეტის ფილტვებს“ უწოდებენ, რადგანაც დედამიწის ჟანგბადის თითქმის 50% სწორედ ამაზონის ტყეებში გამომუშავდება. მისი ფლორის მხოლოდ 80%-ია შესწავლილი, მსოფლიოს ფარმაცევტული საშუალებების 25% კი ამაზონის ტყეების მცენარეებისაგან მიიღება.

ბრაზილია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის

მქონე ქვეყანაა. მას გააჩნია წყლის უხვი რესურსები, ნოყიერი ნიადაგები და საძოვრები. მრავალფეროვანი და მდიდარია მისი მინერალურ-სანედლეულო ბაზა, სადაც განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო მნიშვნელობის რკინის, მანგანუმის, ბოქსიტების და სხვა მინერალური ნედლეულის (დაახლოებით, 50-მდე სახეობის) მარაგს უკავია. ქვეყანა მეორე ადგილზეა ლათინურ ამერიკაში ტიტანის, ვოლფრამის, კობალტის, კალის, აზბესტისა და კალიუმის მარილების მარაგით. ამავე დროს ქვეყანა ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვან სიმცირეს განიცდის.

2. იმისათვის, რომ დაამუშაო შემდეგი კრიტერიუმები და დაადგინო, რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები მოსახლეობის განსახლებაზე, სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების დონეზე, გააანალიზე თემატური რუკები (ბრაზილიის ფიზიკური და მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკები), გაეცანი ტექსტს – „ქვეყნის მოსახლეობის გეოგრაფიული სურათი“, უყურე ვიდეოფილმს – „შთამბეჭდავი ბრაზილია“ და უპასუხე კითხვებს:

- რატომ არსებობს მკვეთრად გამოხატული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ბრაზილიაში?
- რა კავშირია მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის?
- რატომ დადგა ბრაზილიის მთავრობის წინაშე რეფორმების გატარების აუცილებლობა?
- როგორ აისახა მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები ეკონომიკაზე?
- როგორი შედეგები მოჰყვა კონკრეტულ ნაბიჯებს და როგორ აისახა ბრაზილიის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორ გამოიყენებ მიღებულ ინფორმაციას ატლასის შექმნისას?

ქვეყნის მოსახლეობის გეოგრაფიული სურათი

ლათინური ამერიკის მოსახლეობის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობა ხანგრძლივი ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა.

ბრაზილიის ძირითად მოსახლეობას (95%) ბრაზილიელები შეადგენენ. ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი (2020 წლის მონაცემებით), დაახლოებით, 13,9/1000 კაცზე. ისევე, როგორც ზოგადად რეგიონი, ქვეყანაც შობადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, შესაბამისად, მოსახლეობაში ახალგაზრდების ხვედრითი წილი მაღალია (0-14 წლის – 26,2% ; 15-64 წლის – 67% ; 65+ წლის – 6,7%). საქალაქო მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 87%-ია, ხოლო ურბანიზაციის ყოველწლიური ცვლილების დონე – 1, 1% (2010 წ).

ქვეყანაში მოსახლეობა არათანაბრადაა განსახლებული. მოსახლეობის, დაახლოებით, ნახევარი ვიწრო ოკეანისპირა ზოლში ცხოვრობს, რომელსაც ბრაზილიის ტერიტორიის მხოლოდ 7% უკავია. ამავე დროს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ტერიტორიის 1/2-ზე მეტი უჭირავს, მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობს, ხოლო საშუალო სიმჭიდროვე აქ 1 კმ²-ზე 1 კაცსაც არ უდრის.



ბრაზილიის მოსახლეობის სიმჭიდროვე (კაცი/კმ²)

ბრაზილიის უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ მრავალფეროვანი ბუნებრივი და ანთროპოგენური რესურსების არსებობა, რაც მის უდიდეს ტურისტულ პოტენციალს განაპირობებს.

ბრაზილიის ძირითადი ეკონომიკური რაიონი და მთავარი ტურისტული ზონა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილია. აქ მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი რიო-დე-ჟანეირო. სამხრეთის ყვავილების მრავალფეროვნება, მთების სიმწვანე, ზღვისა და ცის სილურჯე, მცხუნვარე მზე მთელი წლის განმავლობაში, კოპაკაბანას მრავალკილომეტრიანი კომფორტული პლაჟები – იპანემა და ლებლონი, ქალაქის სიმბოლო – ქრისტეს გიგანტური ქანდაკება, რომელიც რიო-კორკოვადოს მთიდან გადაჰყურებს ქალაქს, რიოს სავიზიტო ბარათებია.

კოპაკაბანას პლაჟები შაქრისთავა მთიდან

ასევე მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია ქალაქი სან-პაულუ. იგი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრია არა მარტო ბრაზილიაში, არამედ მთელ ლათინურ ამერიკაში. აქ მდებარეობს სტადიონი „პაკაემბუ“, სადაც პელე გამოდიოდა. აქვეა ბოტანიკური ბაღი, სადაც 32 ათასი სახეობის ორქიდეა ხარობს.

3. იმისათვის, რომ დაამუშაო კრიტერიუმები – ბრაზილიის ეკონომიკასა და ეკოლოგიურ პრობლემებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრაზილიის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები – გაეცანი სტატიას – „ბრაზილიის ისტორიის საინტერესო 30 წელი“ და უპასუხე კითხვებს:

- მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული ბრაზილიაში?
- რა ღონისძიებები გაატარა ბრაზილიის მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის?
- რა ეკოლოგიური პრობლემები დგას დღეს ბრაზილიის წინაშე და როგორ შეიძლება ამ პრობლემების გადაჭრა?
- როგორ ფიქრობ, როგორი იქნებოდა ბრაზილია, ქრისტეფორე კოლუმბს რომ არ აღმოეჩინა სამხრეთი ამერიკის კონტინენტი?
- როგორ გამოიყენებ მიღებულ ინფორმაციას ატლასის შექმნისას?

ბრაზილიის ისტორიის საინტერესო 30 წელი

ბრაზილია ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფოა, მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით და სამრეწველო პოტენციალით. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდამდე ქვეყნის ეკონომიკა ნელი ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ მთავრობის ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ცნობილია როგორც განვითარების „ბრაზილიური მოდელი“, მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი წინსვლა.

ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა მომსახურების სფეროშია დასაქმებული (68%), სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 5,2%-ია ჩაბმული, ხოლო მრეწველობაში – 26,3% (2012 წ).

ბრაზილია ეროვნული შემოსავლის პოტენციალით პირველი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში და ბევრი ეკონომიკური მაჩვენებლით შედის მსოფლიოს უმსხვილეს სახელმწიფოთა ათეულში. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია აშშ-ს, ჩინეთს, გერმანიას, იაპონიას, შვეიცარიასა და გაერთიანებულ სამეფოს.

ბრაზილიის ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა. საერთო სამრეწველო პოტენციალით იგი მსოფლიოს 15 დიდ სახელმწიფოში შედის. ბრაზილიის ეკონომიკის ტრადიციულ დარგებს განეკუთვნება კვების (შაქრის მრეწველობა, ხორცის, თამბაქოს, ზეთსახდელი) და მსუბუქი მრეწველობა. განვითარებულია ასევე ცემენტისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა.

სოფლის მეურნეობა ბრაზილიის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი დარგია. ბრაზილია მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი და ექსპორტიორი უდიდესი ქვეყანაა. მეურნეობის ამ დარგში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 30%-ია დასაქმებული. ჭარბობს მსხვილი